ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ თვითრეგულირების კომისია

<u>გადაწყვეტილება №6-თრკ/მა</u>

08 მაისი 2013 წელი

<u>საჩივრის ავტორი:</u> „ასოციაცია მწვანე ალტერნატივა“

<u>მოთხოვნა:</u> 2013 წლის 22 აპრილს საინფორმაციო გამოშვებაში „ახალი 9 საათზე“ (21:00) გასულ სიუჟეტში (სახელწოდებით - „ახალი დასკვნა ჰუდონჰესზე“) სიუჟეტში გასული ინფორმაციის შესწორება და უარყოფა.

აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 01 მაისს შპს „მეცხრე არხს" საჩივრით მიმართა „ასოციაცია მწვანე ალტერნატივამ" (შემდგომში - „საჩივრის ავტორი"), რომელმაც 2013 წლის 22 აპრილს ტელეკომპანია „მეცხრე ახრის" საინფორმაციო გამოშვებაში - „ახალი 9 საათზე" გასული ინფორმაციის შესწორება და უარყოფა მოითხოვა.

საჩივრის საფუძველს წარმოადგენდა მითითებულ დღეს „მეცხრე არხის" მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში გასული სიუჟეტი, სათაურით „ახალი დასკვნა ჰუდონჰესზე".[1] აღნიშნულ სიუჟეტში ნაჩვენებია ინტერვიუ საჩივრის ავტორის თავმჯდომარესთან, ქალბატონ მანანა ქოჩლაძესთან, ასევე ნახსენებია გარკვეული შეფასებები ჰუნდონჰესის საკითხთან დაკავშირებით და სხვ.

საჩივრის ავტორთა განცხადებით, სიუჟეტში მოყვანილი ტექსტი და კადრები შეუსაბამობაში მოდის რეალურ ფაქტებთან, რაც გამოიხატება სიუჟეტის ტექსტში - (ტელეკომპანია „მეცხრე არხის" ჟურნალისტის ტექსტი): *„დიდ ჰიდროელექტროსადგურებთან მიმართებაში გარემოსდამცველთა პოზიცია გამიზნულად თუ უნებლიედ თანხვედრაში მოდის უმსხვილესი ენერგოკორპორაციების ინტერესთან, რომლებიც მეზობელ ქვეყნებში განახლებადი ენერგიების მძლავრი წყაროების განვითარებას ფარულად ბლოკავს [...]".*

საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ასეთი სახის ტექსტი ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს „ასოციაცია მწვანე ალტერნატივას" რაიმე სახის კავშირი გააჩნია მეზობელი ქვეყნის ენერგოკორპორაციებთან.

საჩივრის ავტორის განცხადებით, სიუჟეტი მომზადებულია მიკერძოებულად და ის მიმართულია გარემოსდამცველთა პოზიციებისა და როლის ნეგატიურად წარმოჩენისთვის.

საჩივრის ავტორი ეყრდნობა მაუწყებელთა ქცევის კოდექსს (შემდგომში - მქკ). კერძოდ, აღნიშნული კოდექსის მე-14 მუხლის მე-3 და მე-9 ნაწილის, მე-15 მუხლის, მე-16 მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილის, მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით ისინი მოითხოვენ, ტელეკომპანია „მეცხრე არხის" თვითრეგულირების კომისიის მიერ თანაზომადი საშუალებით შესწორდეს და უარყოფილ იქნეს სიუჟეტის ტექსტი.

[1] იხ. <http://tv9.ge/new/?l=G&m=3&srcText=%E1%83%9C%E1%83%B0%E1%83%94%E1%83%A1&id=1291>.

სამოტივაციო ნაწილი:

შპს „მეცხრე არხის" თვითრეგულირების კომისიამ (შემდგომში - თვითრეგულირების კომისია) „ასოციაცია მწვანე ალტერნატივასთან" ერთად განიხილა საჩივარი, შეამოწმა საჩივრის სამართლებრივი საფუძვლები და გადაწყვიტა, რომ საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. აღნიშნულის სამართლებრივ დასაბუთებას წარმოადგენს შემდეგი:

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის შესაბამისად მაუწყებელს გააჩნია ინფორმაციის მიღებისა და გაშუქების უფლებამოსილება.[2] ასეთი სახის უფლება ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს მაუწყებელს ნებისმიერი სახის ინფორმაციის გავცრელება შეუძლია, პირიქით, იგი შებოჭილია ვალდებულებით, გაავრცელოს მხოლოდ ისეთი სახის ინფორმაცია, რომელიც არ დაარღვევს სხვათა უფლებებსა და ინტერესებს.[3]

სიუჟეტის მომზადდა ტელეკომპანია „მეცხრე არხის" თანამშრომლის მიერ ყოველგვარი წინასწარი ქვენაგრძნობისა და გამიზნული ქმედების განხორციელების სურვილის გარეშე. სიუჟეტში არ ჩანს, რომ ის შეგნებულადაა მიმართული საჩივრის ავტორის წინააღმდეგ, რითიც შეიძლებოდა საჩივრის ავტორთა უფლებები ყოფილიყო დარღვეული. ტელეკომპანია „მეცხრე არხი" იცავს პროგრამაში მოყვანილი ფაქტების ჯეროვანი სიზუსტის უზრუნველყოფას. მას აღნიშნული ვალდებულება გააჩნია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებისა[4] და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ნორმების საფუძველზე.

ჯეროვანი სიზუსტე არ შეიძლება იქნეს დარღვეული მაუწყებლის მხრიდან, როგორც ნებსით, ისე უნებლიედ. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, შესაძლებელია მაუწყებლის მხრიდან ადგილი არ ჰქონდეს შეგნებულად არაზუსტი ინფორმაციის გაშუქებას, თუმცა ასეთი ქმედება, მიუხედავად განზრახვის სახეზე არარსებობისა, მაინც საჭიროებს შესაბამის რეაგირებას, რათა საბოლოო ჯამში უზრუნველყოფილ იქნეს ზუსტი ინფორმაციის მიწოდება მაყურებლისათვის.

ჯეროვანი სიზუსტის უზრუნველყოფისთვის მაუწყებლის მხრიდან შესაძლებელია განხორციელედეს ორი სახის ქმედება: ა) მაუწყებელს შეუძლია უარყოს გაშუქებული ინფორმაცია და ბ) მაუწყებელს შეუძლია შეასწოროს გაშუქებული ინფრომაცია.

---

[2] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება.

[3] შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილება, რომელიც სამაუწყებლო სამართალში გამოხატვის თავისუფლებისა და სხვა საკითხებს ეხება.

[4] იხ. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 09 სექტემბრის №461/1 გადაწყვეტილება - <http://gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=9501>.

თითოეული მათგანი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის შეცდომა იქნა დაშვებული სიუჟეტში (გადაცემაში და სხვ.).

თვითრეგულირების კომისია საჩივრის ავტორის მოთხოვნას ეთანხმება ნაწილობრივ. იგი მიიჩნევს, რომ მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს იმ ნაწილში, სადაც საჩივრის ავტორი სიუჟეტში გასული ტექსტის შესწორებას ითხოვს, ხოლო იმ ნაწილში, სადაც საჩივრის ავტორი სიუჟეტში გასული ტექსტის უარყოფას ითხოვს, თვითრეგულირების კომისია უარს ამბობს საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

სიუჟეტში გასული ტექსტის უარყოფაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს ტელეკომპანია „მეცხრე არხის" ჟურნალისტის მიერ სიუჟეტის მომზადებისას დაშვებული შეცდომის შემთხვევითობა. სიუჟეტში ინტერვიუს შემდეგ გასული ტექსტი, რომლის მიხედვითაც მაყურებლამდე მიწოდებულია სხვა სახის ინტერპრეტაციის მქონე ინფორმაცია, არ არის გაკეთებული შეგნებულად ამ მიზნით.

სიუჟეტში გასულ ტექსტში უნებლიედ დაშვებულია შეცდომა, რომლის მიხედვითაც იკვეთება შემდეგი - თითქოს „ასოციაცია მწვანე ალტერნატივას" რაიმე სახის კავშირი აქვს მეზობელი ქვეყნის ენერგოკორპორაციებთან. რეალურად, ტელეკომპანია „მეცხრე არხის" ჟურნალისტს უნდა აღენიშნა, რომ ასეთი სახის ინფორმაციას იგი იყენებდა შესაბამის წყაროზე დაყრდნობით. თვითრეგულირების კომისია ამ საკითხთან მიმართებით ეთანხმება საჩივრის ავტორთა მიერ წარმოდგენილ მოთხოვნას და გადაწყვეტილებას იღებს სიუჟეტში მოყვანილი ინფორმაციის შესწორების თაობაზე.

მქკ-ის მე-14 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, „მაუწყებელმა უნდა გაითვალისწინოს ინფორმაციის წყაროს შესაძლო დაინტერესება ან მიკერძოებულობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება საზოგადოებრივი ინტერესის შემცველ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებას და მიიღოს ყველა გონივრული ზომა გადაცემული ინფორმაციის სისრულისა და სიზუსტის უზრუნველსაყოფად". როგორც ნორმის შინაარსიდან ირკვევა, მაუწყებლის მხრიდან, მისი საქმიანობის განხორციელებისას აუცილებელ პირობას წარმოადგენს ყველა ზომის მიღება, რათა გადაცემული *ინფორმაცია იყოს სრული* და რაც უმთავრესია - *ზუსტი*.

სრულია ინფორმაცია, როდესაც არ არის გამორჩენილი ისეთი მნიშვნელოვანი დეტალები, რომელთა შესახებ ყურადღების გამახვილებისგან თავის შეკავების შემთხვევაში შესაძლებელია მაყურებლის მიერ აბსოლუტურად სხვა აზრი იქნეს გაგებული. თავისთავად, სრულ ინფორმაციაში არ იგულისხმება ის, რომ მაგალითად ინტერვიუს ჩაწერისას ჟურნალისტმა მთელი ინტერვიუ უნდა გადაიტანოს სიუჟეტში, მაგრამ მას გააჩნია ვალდებულება, ინტერვიუდან მაყურებლამდე მიიტანოს ყველაზე საკვანძო ფრაზები, რომელიც თავისი მნიშვნელობით რესპოდენტის სხვა სიტყვებთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანია საერთო სურათის მართებულად აღსაქმელად. ანუ, შეინარჩუნოს მთავარი არსი. სწორედ ამ პრინციპის დაცვას ითვალისწინებს მქკ-ის

შესაბამისი ნორმა, რომელიც გარდა სრული ინფორმაციისა, ზუსტი ინფორმაციის გავრცელების ვალდებულებასაც გულისხმობს.

ზუსტია ინფორმაცია, რომელიც რეალურ ფაქტებს არ აძლევს სხვა სახის ინტერპრეტაციას. ზუსტი ინფორმაციისას, სიუჟეტში მოყვანილი მასალა შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს რეალურად დაფიქსირებულ შემთხვევასთან. ზუსტი ინფორმაციისას მნიშვნელოვანია ასევე, რა სახის განმარტება იქნება უშუალოდ სიუჟეტში გაკეთებული. რადგანაც 2013 წლის 22 აპრილის სიუჟეტში ერთმანეთისგან განსხვავდება რეალურ ფაქტებზე არსებული ინფორმაცია და ჟურნალისტის მიერ გაკეთებული კომენტარი, შეიძლება ითქვას, რომ სახეზეა ე.წ. „ცალმხრივი ინტერპრეტაცია", ვინაიდან ერთმანეთისგან არ არის გამიჯნული ფაქტი და კომენტარი. თუ გამოვიყენებთ ტერმინს „ცალმხრივი ინტერპრეტაცია", ეს შესაძლებელია მაუწყებლის მიერ გაკეთებული იქნეს როგორც შეგნებულად, ანუ განზრახულად, ისე გაუფრთხილებლობით. „ცალმხრივ ინტერპრეტაციაზე" საუბრისას მნიშველოვანია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს მისი სუბიექტური და ობიექტური აღქმის საკითხი.

<u>სუბიექტურია აღქმა</u>, როდესაც დაინტერესებულ მხარეს, ან კონკრეტულ საკითხზე მომუშავე (სხვა კუთხით დაინტერესებულ) პირს განსაკუთრებული ე.წ. „მგრძნობიარე" აღქმა[5] აქვს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. შედარებისთვის მოვიყვანოთ სასამართლო განაჩენის (გადაწყვეტილების/განჩინების) მაგალითი, რომლითაც ორივე მხარე შეუძლებელია დარჩეს კმაყოფილი, ერთ-ერთი მხარე სუბიექტური კუთხით არ დაეთანხმება სასამართლოს ამ მოსაზრებას (გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა). სწორედ ასეთი სახით, სუბიექტური შეხედულების საფუძველზე შესაძლებელია ნებისმიერმა პირმა ჩათვალოს, რომ მაუწყებლის მიერ გაშუქებული ინფორმაცია „ცალმხრივი ინტერპრეტაციის" საგანს წარმოადგენს. შესაბამისად, „ცალმხრივი ინტერპრეტაციის" ზუსტად განსაზღვრისთვის საჭიროა ამ ტერმინის ობიექტური კუთხით გაგება.

<u>ობიექტურია აღქმა</u>, როდესაც გარდა დაინტერესებული პირისა, სხვაც ანალოგიურ ინტერპრეტაციას აკეთებს გასულ ინფორმაციაზე. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ობიექტურად საკითხის აღქმისთვის მნიშვნელოვანია ინფორმაცია ისე გავრცელდეს, რომ ნებისმიერ მაყურებელს ერთნაირი შთაბეჭდილება შეექმნას კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა ეს არ გამორიცხავს დაინტერესებული პირის მხრიდან საჩივრის შეტანის უფლებას. წინამდებარე საკითხთან დაკავშირებით, საჩივრის ავტორმა ჩათვალა, რომ სიუჟეტში დაფიქსირებულ იქნა მაუწყებლის „ცალმხრივი

---

[5] ტერმინის - მგრძნობიარე აღქმა - თაობაზე შეადარეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 05 აპრილის №ბს-1278-1210(კ-08) განჩინება, სადაც სასამართლო ინფორმაციის საკითხზე საუბრისას მონაცემებს ჩვეულებრივ და განსაკუთრებულ მგრძნობიარედ ჰყოფს. მგრძნობიარე მონაცემები სუბიექტურად აღქმის საგანია და იგი შეუძლებელია ერთნაირად ყველა პირის მიერ იქნეს ერთნაირად აღქმული და გაგებული. სწორედ აქედან გამომდინარე, პარალელს თუ გავავლებთ „ცალმხრივი ინტერპრეტაციასთან", დავინახავთ, რომ ასეთი ტერმინის სუბიექტური კუთხით გაგება დაინტერესებული ან კონკრეტულ საკითხზე მომუშავე პიროვნების შეხედულებაა.

ინტერპრეტაცია". თვითრეგულირების კომისია საკითხის განხილვისას აბსოლუტურად დაეთანხმა მას, თუმცა იქვე განსაზღვრა, რომ „ცალმხრივი ინტერპრეტაცია" სახეზე იყო ყოველგვარი პირდაპირი თუ არაპირდაპირი განზრახვის გარეშე.

მქკ-ის მე-16 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით: „მაუწყებელი ვალდებულია ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამიჯნოს ფაქტი და კომენტარი. თავიდან უნდა იყოს აცილებული მოსაზრებათა ცალმხრივი ინტერპრეტაცია". სიუჟეტში ერთმანეთისგან მკაფიოდ არ არის გამიჯნული ფაქტი და კომენტარი. პირიქით, იგი იძლევა რეალური ფაქტების სხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას, თუმცა აუცილებელია აღინიშნოს, რომ ასეთი სიუჟეტი ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე არის მომზადებული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თვითრეგულირების კომისია მიიჩნევს, რომ ტელეკომპანია „მეცხრე არხის" თანამშრომელს (საინფორმაციო სამსახურის უფროსის გადაწყვეტილების შესაბამისად. მას შეუძლია თავად შეარჩიოს პირი, რომელიც გადაწყვეტილებას სისრულეში მოიყვანს) უნდა დაევალოს წინამდებარე გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტიდან (გასაჩივრების ვადის გასვლის მომენტიდან) 2 (ორი) კალენდარული კვირის მანძილზე მოამზადოს ახალი სიუჟეტი, რომელშიც საუბარი იქნება ჰუდონჰესზე და მოყვანილი იქნება საჩივრის ავტორთა განმარტებანი და მოსაზრებანი. ამასთან, სიუჟეტში აღნიშნული იქნება ის შესწორება, რომლითაც განისაზღვრება 2013 წლის 22 აპრილის სიუჟეტში დაშვებული უნებლიე შეცდომა.

თვითრეგულირების კომისია არ იზიარებს საჩივრის ავტორის მეორე მოთხოვნას, რომლითაც იგი სიუჟეტში გასული მონაცემების უარყოფას ითხოვდა. მაუწყებლის მხრიდან არ იყო სახეზე რესპოდენტის ციტატა დამახინჯებული სახით წარმოდგენილი; ასევე მასალის რედაქტირებისას არ იქნა ისეთი სახით სიუჟეტი მომზადებული, რომელიც სხვა სახის ინტერპრეტაციის საშუალებას იძლეოდა. ამასთან, სიუჟეტს არ შეჰყავს შეცდომაში აუდიტორია. თვითრეგულირების კომისია მიიჩნევს, რომ ჟურნალისტის მიერ მომზადებული სიუჟეტი, რომელშიც ინტერვიუ საჩივრის ავტორის თავმჯდომარესთან, ქალბატონ მანანა ქოჩლაძესთანაა ჩაწერილი, არ იწვევს მაყურებელთა მხრიდან სხვა სახის ინტერპრეტაციის საშუალებას. სიუჟეტში ინტერვიუ წარმოდგენილია ეთიკის ნორმათა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით. როგორც ზემოთ აღინიშნა, იმის გათვალისწინებით, რომ ტელეკომპანია „მეცხრე არხის" სიუჟეტს შეგნებულად არ შეჰყავს შეცდომაში მაყურებელი, არ უნდა დაკმაყოფილდეს მოთხოვნა გასული ინფორმაციის უარყოფის თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

თვითრეგულირების კომისიამ იხელმძღვანელა „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14, 52-ე, 54-ე და მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-14 და მე-16 მუხლებით და

გადაწყვიტა:

1. „ასოციაცია მწვანე ალტერნატივის“ საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. დაევალოს ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ თანამშრომელს (საინფორმაციო სამსახურის უფროსის გადაწყვეტილების საფუძველზე) მოამზადოს ახალი სიუჟეტი ჰუდონჰესის თაობაზე, სადაც ჩაწერილი იქნება საჩივრის ავტორი და მითითებული იქნება შეცდომის შესწორების თაობაზე (გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 2 კალენდარული კვირის ვადაში);
3. საჩივარი არ დაკმაყოფილდეს იმ ნაწილში, რომელშიც „ასოციაცია მწვანე ალტერნატივა“ ტელეკომპანია „მეცხრე არხზე“ გასული ინფორმაციის უარყოფას მოითხოვს;
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში, მისი საჩივრის ავტორზე ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში.

სერგი ჯორბენაძე — შპს „მეცხრე არხის“ თვითრეგულირების კომისიის თავმჯდომარე (შპს „მეცხრე არხის“ იურიდიული სამსახურის უფროსი)

ლუბა ელიაშვილი — შპს „მეცხრე არხის“ თვითრეგულირების კომისიის წევრი (შპს „მეცხრე არხის“ დირექტორი)

იმედა დარსალია — შპს „მეცხრე არხის“ თვითრეგულიების კომისიის წევრი (შპს „მეცხრე არხის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსი)

მარიამ მირცხულავა — შპს „მეცხრე არხის“ თვითრეგულირების კომისიის წევრი (შპს „მეცხრე არხის“ გენერალური პროდიუსერი)

ეკატერინა გამცემლიძე — შპს „მეცხრე არხის“ თვითრეგულირების კომისიის წევრი (შპს „მეცხრე არხის“ გარე წარმოების პროდიუსერი)